

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXX. უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
2016, გვ.52-67.

## ქეთევან დიდმელაშვილი

### სამთავროს ისტორიის უცნობი ფურცლები (არქეოლოგიური და წყაროთმოცდნეობითი ანალიზი)

2002 წლამდე სამთავროს მონასტრის ისტორია მხოლოდ წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით იწერებოდა. ქართული ნარატიული წყაროები და სამართლის დოკუმენტები კი ამ ტაძრის ირგვლივ ბევრ ინფორმაციას არც იძლეოდა. დაზუსტებით ისიც არ იყო ცნობილი, დღევანდელი სამთავროს ტაძარი იდგა თუ არა იმ ადგილას, სადაც მეფე მირიანმა ზემო ეკლესია ააგო.

სამთავროს ტაძრის წარსულის კვლევა ახალ ფაზაში შევიდა 2002 წლიდან, როცა სამთავროს მონასტერში პირველი არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. ამ წელს ტაძრის იატაკის დასადაბლებლად დაიწყო სამუშაოები, რასაც მოყვა ინტერიერის არქეოლოგიური შესწავლა (ყიფიანი 2007: 11-37). კვლევებმა წყაროების ცნობებს სიმტკიცე შემატა. დადასტურდა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“-სა და ლეონტი მროველთან დაცული ცნობა მირიან მეფის მიერ ქალაქის გარეუბანში, გალავანს მიღმა, მაყვლოვანში ტაძრის აშენებისა, სწორედ სამთავროს ტერიტორიას გულისხმობდა (მოქცევაი ქართლისაი 1963: 87; ლეონტი მროველი 1955: 118). დღევანდელი ფერისცვალების ტაძარი დგას სამნავიან ბაზილიკაზე, რომელსაც ორმწკრივი სამი სვეტით გაყოფილი ნავები და შვერილი აბსიდი ქონდა. ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზუსტად იქ, სადაც წყარო მიუთითებდა მირიან მეფისა და ნანა დედოფლის საკრძალავს (მოქცევაი ქართლისაი 1963: 91), მართლაც აღმოჩნდა სიცარიელე, რომელიც XI ს. ტაძრის შენებისას სამშენებლო ღორღით შეევსოთ (ყიფიანი 2007: 17-24). საინტერესო იყო იმის აღმოჩენაც, რომ თავად მირიანის მიერ აშენებული ბაზილიკა იდგა უფრო ადრეული პერიოდის ნაგებობაზე. ეს უკანასკნელი როტონდა (მრგვალი ნაგებობა) გახლდათ და გამთხრელის სამართლიანი შენიშვნით, ტაძარი უნდა ყოფილიყო (ყიფიანი 2007: 23-25). როდის დაინგრა როტონდა, ზუსტად თქმა ძნელია. არაა გამორიცხული, ის სპეციალურად დაენგრიათ ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, ისევე, როგორც არმაზციხეზე აშენებული ექვსაბსიდიანი ტაძარი (ნიკოლაიშვილი 2011: 32).

ისტორიული მონაცემებით, მირიანის დროს აშენებული ბაზილიკა V საუკუნიდან, მას შემდეგ რაც სვეტიცხოვლის ხის ტაძარი დაინგრა, ქართლის მთავარეპისკოპოსთა რეზიდენციად იქცა. მას შემდეგ კი, რაც ვახტანგ გორგასალმა სვეტიცხოველი აღადგინა და ის საქათველოს კათოლიკოსის რეზიდენციად გამოაცხადა, სამთავრო ქართლის ეპისკოპოსთა ცენტრი გახდა (ჯუანშერი 1955: 198; ჭანიშვილი 2008: 29).

მირიანის დროინდელ ტაძარს რომ თავისი სატაძრო თემი ყავდა, ამაზე მეტყველებს ტაძრის დასავლეთით 2011 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი IV-V სს. მძლავრი კულტურული ფენა<sup>1</sup> (ტაბ.I-II, IV-I). აქ გაითხარა ხუთი მცირე ზომის თონე (მათი დიამეტრი 50-52 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობდა) სქელი ნაცროვანი დანალექით. ისინი მოყავისფროდ და მოწითალოდ გამომწვარი თხელკედლიანი თონეები იყო, მიწაში მცირედ ჩადგმული (სიხარულიძე . . 2011). როგორც სხვადასხვა ტერიტორიაზე წარმოებული გათხრები გვიჩვენებს, ასეთი მცირე ზომის თონეები მიწაში არ იდგმებოდა, არ ქონდათ სასულე და ძირითადად გამოიყენებოდა სატაძრო-სარიტუალო პურის დასამზადებლად (ბუჩქური 2007: 109-111).

ვფიქრობთ, სათონე ფარდულის ტიპის სათავსო ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც პქონდა დასავლეთის კედელი, დანარჩენი მხარეები კი შესაძლოა დია ფანჩატურის ტიპის ქონდა. სათონის დასავლეთის კედელი შემორჩენილია ნატეხი ქვისა და ტალახით შემტკიცებული საფუძვლით, რომელზეც ალიზის კედელი უნდა ყოფილიყო ამოყვანილი. ამ სათონეში აღმოჩენილმა ჭურჭელმა (ხელადები, კათხა, ჩაფები, ბადიები, ლანგრები, დერგები) და სამშენებლო კერამიკამ (ღარიანი და ბრტყელი კრამიტები), სათონის არსებობის პერიოდი ზუსტად განსაზღვრა – IV-V სს. (სიხარულიძე . . 2011).

ტაძრის ინეტირიერისა და ამ სათავსო-სათონის გათხრების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა: ორივე მათგანი ერთი და იგივე პერიოდშია დანგრეული და როგორც ჩანს, შემოსევის დროს. ამაზე ნათლად მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი,

<sup>1</sup> 2011 წელს სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა არქეოლოგი ა. სიხარულიძე. მონაწილეობას ვიდებდით არქეოლოგები: კ. კალანდაძე, გ. მანჯგალაძე, ქ. ლილმელაშვილი, მხატვარ-არქიტექტორი - ლ. ფავლენიშვილი, ანთროპოლოგი - ლ. ბითაძე. გათხრების შედეგების ერთი ნაწილი გამოიცა ცალკე ნაშრომად (სიხარულიძე . . 2012), ხოლო ძირითადი ნაწილი გამოუქვეყნებელია. არქეოლოგიური კვლევის ანგარიშები ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ეროვნულ არქივსა და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში.

რომ ერთ-ერთ თონეში ადმოჩნდა შემთხვევით ჩავარდნილი მთლიანი ხელადა (სიხარულიძე . . . 2011). წყაროებთან შეჯერების საფუძველზე არქეოლოგები ვფიქრობთ, რომ ბაზილიკა თავის სატაძრო თემთან ერთად აოხრებას და ნგრევას განიცდის ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლოს ირანელთა ლაშქრობის დროს, როცა ჯუანშერის მიხედვით, სპარსელებმა ვერ აიღეს ქალაქი მცხეთა, მაგრამ მთაოხეებს მცხეთის შემოგარენი (ჯუანშერი 1957: 202; ყიფიანი 2007: 31).

როგორც ჩანს, ტაძარი საფუძვლიანად დაინგრა და სატაძრო თემიც მოიშალა ვიდრე XI ს.-მდე. ტაძრის ინტერიერის შესწავლამ ნათლად დაადასტურა, რომ IV-V სს. ბაზილიკის ნგრევის შემდეგ, XI ს. გუმბათოვანი ტაძრის შენებამდე, აქ არაფერი შეცვლილა (ყიფიანი 2007: 30-31).

იგივე ინფორმაციას იძლევა ტაძრის დასავლეთი მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლაც. VI-X სს. კულტურული ფენა აქ მხოლოდ სამარხებითაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივია, რომ სამარხებიდან (სულ გაითხარა ამ პერიოდის 5 სამარხი) ერთ-ერთი, კომბინირებული – კრამიტითა და ქვიშაქვის ფილით ნაგები – სამარხი IV-V სს. თონეების გვერდითაა ჩადგმული (ტაბ.II, IV-1). სამარხები ყველა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. მათგან თოხი ქვასამარხია, ხოლო ერთი, როგორც აღვნიშნეთ, კომბინირებული სამარხი. საინტერესოა, რომ ორ შემთხვევაში მიცვალებულები ქრისტიანული საკრძალავი წესის დარღვევითაა დაკრძალული – გვერდზე, კიდურებმოხრილი (№1 ქვასამარხი და №2 კომბინირებული სამარხი). სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი (აბზინდა, გერცხლის ბეჭედი ხუცური ასოებით, ჯვრის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდი და ბრინჯაოს ბურთულა საკიდი) და სამარხების გამართვა IV-V სს. ფენაზე, მეტყველებს, რომ ისინი VI-VIII სს. სამარხებია. შემდგომ პერიოდში აქ ყველანაირი ცხოვრების კვალი ქრება და 60 სანტიმეტრიანი სტერილური ფენა ჩნდება (სიხარულიძე . . . 2011).

სამთავროს ტაძრის ახალი სიცოცხლე და ისტორიის მეორე ეტაპი IX საუკუნის მიწურულიდან იწყება. ტაძრის საკურთხევლის ბემაზე შესრულებული გრცელი ასომთავრული წარწერა ყვება, რომ ადარნასე II ქართველთა მეფე მცხეთას მოსულა, აქ გამეფებულა და სამთავროს საყდარი უყიდია. მართალია, წარწერა XVII საუკუნეშია შესრულებული, მაგრამ პალეოგრაფ ვ. სილოგავას მოსაზრებით, ის IX ს. 90-იან წლებში შესრულებული დედნიდან უნდა იყოს გადაწერილი, რომელიც, ცხადია, აქ მდგარ თანადროულ ტაძარში იყო ჩადგმული

(სილოგავა 2011: 20-25). სხვა ინფორმაცია ამ პერიოდის სამთავროში ტაძრის არსებობისა, ჩვენ არ მოგვეპოვება<sup>2</sup>.

XI საუკუნის დასაწყისიდან უკვე მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარი იგება. როგორც ჩანს, ამას მოჰყვება სატაძრო თემის გაჩენაც. რასაც ადასტურებს ტაძრის ეზოში გათხრილი მომდევნო კულტურული ფენა (ტაბ.I-II, IV-1).

ნიშანდობლივია, რომ დამხმარე სათავსო ნაგებობა, რომელიც ასევე სათონითაა წარმოდგენილი, ზუსტად წინა პერიოდის თონეებზეა გამართული, რაც მეხსიერებითი ტრადიციის არსებობაზე მიუთითებს.

ამ პერიოდის სათონე ნაგები იყო ტალახით შემტკიცებული რიყისა და ნატეხი ქვის საფუძველზე ამოყვანილი ალიზის კედლებით (ისევე, როგორც წინა პერიოდის სათავსო). სათონეში გაითხარა სამი საშუალო და დიდი ზომის თონე, რომლებიც მიწაში სანახევროდ იყო ჩადგმული (ტაბ.II, IV-1). სამთავროში გათხრილი თონეები ისეთივე წესითაა დამზადებული, როგორც არაერთ სხვა ნამოსახლარზე გათხილი თონეები. მათგან ერთი ადგილზე იყო ნაგები სორსლებით, ხოლო ორი შესაძლოა სხვა ადგილას ნაკეთები ნაწილებით ადგილზე შეეკრათ. თონეები სქელკედლებიანი და კარგად გამომწვარი გახლდათ. ზოგიერთ მათგანს შიგნიდან პურის უკეთ მოჭიდებისთვის ნაკაწრი თრნამენტიც ქონდა გაკეთებული (სიხარულიძე. . . 2011; ბუჩქური 2007: 109-111; მინდორაშვილი 2008: 41-44). თონეებში დადასტურებული თითქმის 15 სანტიმეტრიანი ნაცროვანი ფენა მიუთითებდა, რომ თონეები ინტენსიურად გამოიყენებოდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სამ თონეს ერთმანეთის მიჯრით არავინ გამართავდა, ამის აუცილებლობა და მოთხოვნილება რომ არ ყოფილიყო. თუ ეთნოგრაფიულ ტრადიციას გავითვალისწინებთ (პურის მოცულობას) და თონეებში ჩასაკრავ პურის ფორმად აღმოსავლური შოთის პურს მოვიაზრებთ, თონეების ზომებიდან გამომდინარე, ყოველდღიურად მათში 80-მდე პური უნდა ჩაეკრათ. ეს მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სათონე საშუალოდ ტაძართან დაკავშირებულ 100 ადამიანს მაინც ემსახურებოდა.

<sup>2</sup> არსებობს, მოსაზრება, რომ სამთავროს ტაძრის ჩრდილოეთი მინაშენი (ეკვდერი), რომელიც დღეს იოანე ფქროპირის სახელობისაა, ტაძარზე ადრეულია (ანდლულაძე. . . 1990: 254; ჭანიშვილი 2008: 209). სამწუხაროდ, 2002-2003 წლების არქეოლოგიური გათხრების დროს, კვლევა ამ მინაშენში არ მომხდარა, ამიტომ არქეოლოგიურად რამის თქმა, ამ მინაშენის შესახებ, შეუძლებელია.

სათონის ტერიტორიაზე და თონეებში აღმოჩენილი ჩამტვრეული ჭურჭელი გეტყველებს, რომ სათონე მძლავრი ზემოქმედების შედეგად განადგურდა XIII ს. ბოლოსთვის (სიხარულიძე . . . 2011).

სათონის გვერდით, მის სამხრეთით უნდა ყოფილიყო ასევე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, რადგან ამ ტერიტორიაზე გაითხარა რამდენიმე ქვევრი, რომელთაგან ერთში დვინის კრისტალური დანალექიც აღმოჩნდა (სიხარულიძე . . . 2011).

ტაძრის მაშტაბურობის, მნიშვნელობის და სტატუსიდან გამომდინარე (საეპისკოპოსო), ბუნებრივია მას სათონესთან ერთად უნდა ქონოდა სხვა ნაგებობებიც, სადაც მოიაზრებოდა სასულიერო პირთა საცხოვრებელი, გალავანი და სხვა დანიშნულების ნაგებობები. მათი ერთი ნაწილი მდგარა ტაძრისა და სათონის დასავლეთით, რაც დადასტურდა 2015 წელს ამჟამინდელი სენაკების წინა მონაკვეთზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით<sup>3</sup> (ტაბ.III, IV-2,3). აღმოჩნდა ქვიშაქვის დუღაბზე ნაგები საკმაოდ მტკიცე კედლების (მათ შორის გოდოლის?) ნაშთები. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ნაგებობის დანიშნულება, რადგან ამ კედლების გაგრძელება დღევანდელი სენაკების ქვეშა სავარაუდებელი, რაც ამჟამად წარმოუდგენელს ხდის ტერიტორიის კვლევას. ნაგებობა რომ მნიშვნელოვანი გახლდათ, ამაზე მიუთითებს არა მხოლოდ კედლების სიგანე და სიმტკიცე (რასაც იმავე პერიოდის სათონე-ნაგებობაზე ვერ ვიტვით), არამედ მისი დახურვაც კრამიტით.

ამავე ადგილას აღმოჩენილმა კერამიკული ნაწარმის წუნმა (წუნდებული დოქების ფრაგმენტები) დადასტურა, რომ სამონასტრო თემი საჭირო კერამიკულ ნაწარმს ადგილზევე, თავის კერამიკულ სახელოსნოში ამზადებდა. სად იყო განთავსებული ეს სახელოსნო, ამაზე საუბარი ამ ეტაპზე შეუძლებელია (დიღმელაშვილი 2015).

სათონის ანალოგიურად, აქც, ქვიტკირის კედლებიანი ნაგებობის ნგრევა საკმაოდ მძლავრი ზემოქმედების შედეგად ჩანს გამოწვეული. სათონის და ამ კედლების პერიმეტრზე აღმოჩენილი არტეფაქტები მთლიანად ექვევა XI-XIII საუკუნეებში (დიღმელაშვილი 2015).

<sup>3</sup> არქეოლოგიურ სამუშაოებში ვმონაწილეობდით: არქეოლოგები ქ. დიღმელაშვილი (სამუშაოების ხელმძღვანელი) და კ. კობერიძე, მხატვარ-არქიტექტორი რ. ბერიძე. სამუშაოების სრული ანგარიში დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივსა და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში.

ამ პერიოდში წყაროებში კარგადაა ცნობილი სამი შემთხვევა, რომელსაც მძღავრი ნგრევა მოჰყვა: დიდი თურქობა, 1089 წლის მიწისძვრა და 1283 წლის მიწისძვრა. ჩვენს შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი მომენტი: 1. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული მდგომარეობა უწვენებს, რომ ნგრევა არაა გამოწვეული შემოსევით. კრამიტების დიდი რაოდენობით ჩაზინვა კედლების გარე პერიმეტრზე მხოლოდ მიწისძვრის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო; 2. ამ პერიმეტრზე აღმოჩენილი არტეფაქტები ძირითადად XIII საუკუნით თარიღდება. არქეოლოგიურ მონაცემებს მშვენივრად ავსებს ქართული წყაროების ცნობა, რომ 1283 წლის აღდგომას მომხდარმა მიწისძვრამ საქართველოში არაერთი ნაგებობა დაანგრია, მათ შორის მცხეთაც (ჟამთააღმწერელი 1959: 278). ამდენად, ვფიქობთ, 1283 წლის მიწისძვრას ტაძართან ერთად სატაძრო თემიც უნდა შეწირვოდა.

მომდევნო პერიოდის შესახებ წყაროები უტყვია. წერილობითი ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, სამთავროს ტაძრის განახლების სავარაულო პერიოდად აღექსანდრე დიდის მეფობა უნდა მოვიაზროთ. ვახუშტი არაერთხელ იხსენიებს აღექსანდრე I, როგორც მცხეთის აღმშენებელს (ვახუშტი 1973: 294-299), რაც ბუნებრივია, მხოლოდ სვეტიცხოვლის აღდგენას არ უნდა გულისხმობდეს<sup>4</sup>. იგივეს ამბობს არქეოლოგიური მონაპოვარიც. ტაძარმა რომ გარკვეული ცვლილება განიცადა, ეს 2002-2003 წლებში ტაძრის ინტერიერის შესწავლამაც დაადასტურა (ყიფიანი 2007: 19).

ამავეს მეტყველებს ტაძრის დასავლეთი ტერიტორიის გათხრებიც, რომლის მიხედვითაც, სატაძრო სიცოცხლე აქ ხელახლა XV საუკუნიდან იწყება. XIII ს. საოთხის ტერიტორიაზე მოუსწორებიათ მიწა, და შემდეგ ძველ კედლებზე ამოუყვანიათ ორსენაკიანი ნაგებობის რიყის ქვის თევზიფხური წყობით ნაგები კედლები. ამ ნაგებობაში აღმოჩენილი ქვევრებისა და დერგების მიხედვით თუ ვისმჯელებთ, რომელთაგან ერთი ნაწილი თონეებად ჩანს გამოყენებული, ნაგებობა საოთხე-სათავსო უნდა ყოფილიყო (სიხარულიძე . . . 2011).

<sup>4</sup> უფრო მეტიც. ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტი უთითებს, რომ შემონაზვნებულმა აღექსანდრე დიდმა მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში „აღაშენა მისთვის სენაკი და სახლნი დიდნი ქვითკირისანნი მცხეთას მისგან აღშენებულ მთავარანგელოზის ეკუდერთანა, და მუნ დაღგა, ვიდრემდის ცხოვრობდა“ (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 475). მოგვიანებით, იგივე ტაძრის შენებას, თუ განახლებას ქართლის ცხოვრება უკვე ავტორების მიაწერს, სადაც დაიკრძალა კიდეც კახეთის მეფე (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 351). სად უნდა მდგარიყო აღექსანდრეს სამყოფელი და თავად მთავარანგელოზის ეკლესია ეკვდერით, დღეს უცნობია.

ამ სათონებ-სათავსოს აგება უნდა ემთხვეოდეს ტაძრის სამრეკლოს აშენების პერიოდს. არქიტექტურული სტილისტიკის მიხედვით მეცნიერები სამრეკლოს XV-XVI სს. ათარიდებენ (ანდლულაძე. . . 1990: 256). 2011 წელს სამრეკლოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების შიდა პერიმეტრზე გავლებულმა თხრილებმა უჩვენა, რომ სამრეკლო თაღოვანი სვეტებით იდგა დიდ ქვიშაქვის ბალიშებზე, რომელთა დონე სრულად შეესაბამებოდა რიყის ქვის კედლების დონეს (სიხარულიძე . . . 2011).

არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების საფუძველზე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს უსაფუძვლო, ტაძრისა და სატაძრო თემის განახლება აღექსანდრე დიდის სახელს დაუკავშიროთ.

რიყის ქვის კედლით ნაგები სათავსო-ნაგებობის არსებობის ზედა ქრონოლოგიის ზუსტად განსაზღვრა, სათანადო მასალის სიმწირის გამო, ძნელია. ცნობილია, რომ XVII ს. შუა ხანებში სამთავროს ტაძარი ხელახლა შეუკეთებიათ და მოუხატავთ მარიამ დედოფლის ბრძანებით (ანდლულაძე. . . 1990: 254-255; სილოგავა 2007: 20-25), მაგრამ რა ბედი ეწია დანარჩენ სატაძრო თემს, ეს უცნობია. ერთი რამის თქმა მაინც შეგვიძლია: 1850-იანი წლების დასაწყისისთვის ნაგებობა უკვე დიდი ხნის დანგრეულია (უფრო ადრე, ვიდრე საეპისკოპოსო ცენტრი მოიშლებოდა) და მისი არსებობის ფაქტიც კი სრულიად უცნობია აქ არსებული დედათა მონასტრისათვის. ამაზე ცხადად მეტყველებს ტაძრისთვის რაღაცით საპატივცემულო ქალბატონის, აზნაურის მეუღლის – კეკელა თაზიშვილის აკლდამის აქ გამართვა, რომლის დროსაც მთლიანად ჩაჭრეს რიყის ქვის კედელი და XIII საუკუნის ფენებამდეც კი დავიდნენ (ტაბ.II-1,2) (სიხარულიძე . . . 2011).

XIX ს. 20-იანი წლებიდან სამთავროს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება და ის ნინო ამილახვრის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც აქ დედათა მონასტერი დაარსა (ვრცლად სამთავროს დედათა მონასტრის შესახებ იხილეთ: გ. ჭანიშვილის მონოგრაფია).

ამდენად, ნარატიული, ლაპიდარული და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებამ სამთავროს ტაძრის უცნობი ფურცლები ცოტათი შეავსო. ვიმედოვნებთ, რომ სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე მომავალში განხორციელებული შესაძლო არქეოლოგიური კვლევა-ძიება კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას შეგვმატებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდლულაზე ნ., დევდარიანი ფ. 1990. სამთავროს კომპლექსი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. V. თბილისი. გვ.253-257.
2. ბუჩუკური ა. 2007. განვითარებული შუა საუკუნეების თონეები არაგვის ხეობიდან. საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. I. თბილისი. გვ.109-111.
3. დიღმელაშვილი ქ. 2015. სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის დასავლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. თბილისი. ხელნაბეჭდი ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არქივში.
4. ვახუშტი ბაგრატიონი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ოქები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხესიშვილის მიერ. IV. თბილისი.
5. ლეონტი მროველი. 1955. ცხოვრება მეფეთა. ოქები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხესიშვილის მიერ. I. თბილისი.
6. მინდორაშვილი დ. 2008. უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი.
7. „მოქცევად ქართლისად“. 1963. ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბილისი.
8. ნიკოლაიშვილი ვ. 2011. არმაზციხე, ქართლის სამეფო რეზიდენცია. თბილისი.
9. უამთააღმწერელი. 1959. ასწლოვანი მატიანე. ოქები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხესიშვილის მიერ. II. თბილისი.
10. სილოგავა ვ. 2011. სამთავროს ძეგლი ქართული წარწერები. თბილისი.
11. სიხარულიძე ა. კალანდაძე კ. 2011. სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის დასავლეთი ფასადის მიმდებარე ტერიტორიაზე 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. თბილისი. ხელნაბეჭდი დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.
12. სიხარულიძე ა., ბითაძე ლ., ყვავაძე ე., ასათიანი თ., დიღმელაშვილი ქ. 2012. სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალული ქალბატონის ვინაობის განსაზღვრისათვის ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. ანალება.

იხტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შეცვალისა და პროპაგანდის სამუნიციალურო  
ცენტრის ურნალი. №8. თბილისი. გვ.351-377.

13. ქართლის ცხოვრება. 1959. ტექნიკის დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის  
მიხედვით ს. ყაუბენიშვილის მიერ. II. თბილისი.
14. ყიფიანი გ. 2007. მეფე მირიანის ბაზილიკა. ქართული არქიტექტურის თეორიისა  
და ისტორიის საკითხები. №3 თბილისი. გვ.11-36.
15. ჭანიშვილი გ. 2008. სამთავრო. წმ. ნინოს დედათა მონასტერი. თბილისი.
16. ჯუანშერი. 1955. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექნიკის  
დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუბენიშვილის მიერ. I.  
თბილისი.

### ტაბულების აღწერა:

ტაბულა I-1,2 – სამთავროს ტაძრის დასავლეთით გათხრილი ტერიტორიის  
გენ.გეგმა.

ტაბულა II-1,2 – სამთავროს ტაძრის დასავლეთით გათხრილი ნაგებობების  
ჭრილები.

3 – სამთავროს ტაძრის დასავლეთით გათხრილი სათონეების  
გეგმა და სტრატიგრაფიული ჭრილი.

ტაბულა III-1,2 – სამთავროს ტაძრის დასავლეთით, სენაკების ქვეშ  
გამოვლენილი ნაგებობების გენ.გეგმა და ჭრილი.

ტაბულა IV-1 – სათონეების სტრატიგრაფიული ჭრილი.

2,3 – სენაკების ქვეშ გაწმენდილი ნაგებობების ნაშთები.

**Unknown Pages of the History of Samtavro  
(Archaeological and Source Study Analysis)**

**Summary**

Before the year 2002, the history of the Samtavro Monastery was written only on the basis of the evidence of sources. As a result of the archaeological excavations, conducted at Samtavro in 2002-2003 and 2011-2015, the monastery history was complemented with additional information.

The excavations in the interior of the church confirmed the evidence of the Georgian written sources that at the site of the domed church, built in the 11<sup>th</sup> c., there was a three-nave stone basilica in the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cc. Before constructing the basilica, a round pagan temple had been found here, which must have been deconstructed after the conversion to Christianity.


In the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cc. the church had auxiliary buildings. In 2011 a bakery was discovered in the yard of the church. The bakery contained five small ovens for baking ritual bread.

The basilica and its auxiliary buildings must have been destroyed at the turn of the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cc. during the Persian invasion.


In the 6<sup>th</sup>-9<sup>th</sup> cc. this territory represented a cemetery. 5 burials of different types that have come to light here are dated to this period.

At the end of the 9<sup>th</sup> c. there was a church at this place, which was bought by King Adarnase II of Kartli. A new domed church was constructed at the beginning of the 11<sup>th</sup> c. From this period a numerous monastic community appeared at the Samtavro Monastery, which was at the same time the Kartli episcopal throne. On the site of the ruined bakery of the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cc. a new bakery was built, with three large ovens. Up to 80 loaves of bread were baked in these ovens on average daily. Along with the bakery, in the yard of the church there must have been other stone buildings of different purpose (palace, tower?).


The monastery was destroyed by a powerful earthquake in 1283. Its restoration began from the 15<sup>th</sup> c. – a new dome was made, a bell tower, a bakery and a wine cellar were constructed. In the 17<sup>th</sup> c. restoration works were again conducted and wall paintings were executed in the church. The monastic or church community must have existed until the 18<sup>th</sup> c. From 1927 a nunnery was founded at Samtavro, which functions to the present day.




1




2




1




2



3



1



2

ტაბულა IV



1



2



3